საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

ახალციხის საკრებულოს 2022 წლის საქმიანობის შეფასება

სარჩევი

შესავალი	3
თავი 1. ძირითადი მიგნებები	4
თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ	5
თავი 3. ცვლილებები ახალციხის საკრებულოში	7
თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა	8
თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი	9
თავი 6. არასრულად შევსებული დეკლარაციები	11
თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	12
თავი 8. მოქალაქეთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში	13
თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა	14
თავი 10. საკრებულოს ხარჯები	15
რეკომენდაციები:	17

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” აფასებს ახალციხის მუნიციპალიტეტის 2021 წლის მოწვევის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს საქმიანობას.

ანგარიში ეფუძნება საკრებულოდან გამოთხოვილ, ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, ასევე, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ ფეისბუქის გვერდზე არსებულ ინფორმაციასა და ჩვენი ორგანიზაციის დაკვირვებებს.

კვლევის საანგარიშო პერიოდია 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის დეკემბრის ჩათვლით.

- ახალციხის საკრებულო საანგარიშო პერიოდში აღმასრულებელ ორგანოზე სუსტ ზედამხედველობას ახორციელებდა, ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირთა თუ ცალკეულ უწყებათა კონტროლი, უმეტეს შემთხვევაში, ფორმალურ ხასიათს ატარებდა.

- **ახალციხის საკრებულომ მკვეთრად გააუარესა საჯარო ინფორმაციის გაცემის პრაქტიკა**. წინამდებარე შეფასების მომზადებისას საკრებულომ არ მოგვაწოდა საკრებულოსა და კომისიების სხდომების ოქმები, აგრეთვე საჯარო ინფორმაცია ამ სხდომებზე დეპუტატების დასწრება-გაცდენის, სიტყვით გამოსვლის, ასევე, დეპუტატების მიერ მერისა და სხვა თანამდებობის პირების საკრებულოში დაბარების და მათი მხრიდან მერიაში წერილობით გაგზავნილი შეკითხვების, ან წინადადებების შესახებ.

- საკრებულომ დეპუტატების მიერ მოსახლეობასთან გამართული ვერცერთი შეხვედრის ოქმი ვერ წარმოგვიდგინა.

- ახალციხის საკრებულოს ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტები არ გამოუვლენია.

- საანგარიშო პერიოდში, საკრებულომ **18** სხდომა გამართა და ყველა წარმოდგენილ საკითხს, გარდა ერთისა, რომელიც უძრავი ქონების იჯარის ფორმით გაცემის წესს ეხებოდა, მხარი დაუჭირა.

- ახალციხის საკრებულოს **22** თანამდებობის პირიდან **9-მ** ქონებრივი მდგომარეობის შესახებ დეკლარაცია არასრულად შეავსო.

- საკრებულოში მოქმედი სამი ფრაქციიდან ინიციატივა არცერთს არ წარუდგენია. ფრაქციების მიერ გაწეული საქმიანობისთვის ჯამში **311,586.88 ლარი** დაიხარჯა.

- გენდერული თანასწორობის საბჭოს, საანგარიშო პერიოდში, არც სამართლებრივი აქტების პროექტების ანალიზი განუხორციელებია, არც გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებების მონიტორინგის სისტემის შემუშავებაზე უმუშავია და არც რეკომენდაციები მოუმზადებია.

- საკრებულომ მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი დარბაზი შექმნა.

- ახალციხის საკრებულომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ წარდგენილი პეტიცია დააკამყოფილა.

- 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ჩათვლით, საკრებულოს ხარჯებმა ჯამში **1,052,686.18 ლარი** შეადგინა. ამ თანხიდან ხელფასებში, დანამატებსა და ჯილდოებში სულ 901,802.73 ლარი გაიცა.

- ერთ წელში საკრებულომ **33,584 ლიტრი** საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **109,690.45 ლარი** შეადგინა. აქედან 11,044 ლიტრი საწვავი (ჯამური ღირებულებით - 35,975.45 ლარი) საკრებულოს თავმჯდომარემ და მისმა სამმა მოადგილემ გახარჯა.

თავი 2. ზოგადი ინფორმაცია ახალციხის საკრებულოს შესახებ

ახალციხის საკრებულო ახალციხის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრულ უფლებამოსილებებს, აგრეთვე, კანონით დადგენილ ფარგლებში, კონტროლს უწევს აღმასრულებელი ორგანოსა და ამ ორგანოს თანამდებობის პირების საქმიანობას, ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და საკრებულოს რეგლამენტით მისთვის განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

ახალციხის საკრებულოში 39 წევრია. მათგან 13 მაჟორიტარული წესით აირჩევა, 26 კი - პროპორციული წესით.

საკრებულოში ოპოზიციურ პარტიებიდან 11 წევრი შევიდა, მათ შორის 8 - „ნაციონალური მოძრაობიდან“, 2 -„გახარია - საქართველოსთვის“ პარტიიდან და 1 - „ევროპული საქართველოდან“. მათგან მაჟორიტარი მხოლოდ ერთია, „ევროპული საქართველოს“ წარმომადგენელი. დანარჩენი ყველა პროპორციული სიით შევიდა. თუმცა, დღევანდელი მდგომარეობით, ახალციხის საკრებულოს 2 დამოუკიდებელი დეპუტატი ჰყავს, რადგან „ნაციონალური მოძრაობა“ 2-მა წევრმა დატოვა.

ახალციხის საკრებულოში 11 ქალია, მათგან 5-ს თანამდებობა უკავია.

ახალციხის საკრებულოში, საკრებულოს უფლებამოსილების ვადით შექმნილია 5 კომისიაა:

1. იურიდიულ, სამანდატო საკითხთა და ეთიკის კომისია - თავმჯდომარე მარიამ გოგოლაძე;

2. საფინანსო-საბიუჯეტო კომისია - თავმჯდომარე ვლადიმერ კურტანიძე;

3. სოციალურ საკითხთა, კულტურის, განათლების, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - თავმჯდომარე ნინო მიქაბერიძე;

4. ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების და აგრარულ საკითხთა კომისია - თავმჯდომარე ზოია ბალიაშვილი;

5. სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია - თავმჯდომარე ნოდარ ტალახაძე.

საკრებულოში ფუნქციონირებს 3 ფრაქცია. ფრაქცია **„ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველოს“** თავმჯდომარეს, ბესიკ ბლიაძეს 7 მოადგილე ჰყავს, ფრაქცია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** თავმჯდომარეს, დავით ახალკაცს - 2 მოადგილე, ხოლო ფრაქცია **„ახალციხე საქართველოსთვის“** ხელმძღვანელს, გიორგი გიორგაძეს - 1 მოადგილე.

ჯამში, ახალციხის საკრებულოს 39 წევრიდან 22 თანამდებობის პირია.

საკრებულოს სხდომები:

საანგარიშო პერიოდში სულ საკრებულოს **18** და საკრებულოს ბიუროს **14** სხდომა გაიმართა. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი სხდომა არ ჩაშლილა. საკრებულოს 18 სხდომიდან 2 რიგგარეშე იყო.

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ჩათვლით, საკრებულომ **56** დადგენილების პროექტი დაამტკიცა.

საანგარიშო პერიოდში, ახალციხის საკრებულომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან 7 ნორმატიულ აქტზე 3 სამართლებრივი დასკვნა მიიღო და ყველა გაითვალისწინა.

საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ ერთი წლისა და ერთი თვის განმავლობაში 39 დეპუტატიდან, რომელმა რამდენჯერ ისარგებლა სიტყვით გამოსვლის უფლებით, ან რომელი რამდენჯერ წარსდგა საკრებულოს წინაშე მოხსენებით, მხოლოდ ის მოგვწერა, რომ „დეპუტატების მიერ მუდმივად ხდება განსახილველ საკითხებთან მიმართებაში აზრის დაფიქსირება, რაც შეიძლება ასევე შესაბამისი კომისიის სხდომის, ბიუროს ან საკრებულოს სხდომების პროცესში განხორციელდეს.“

ასევე, უცნობია, თუ რამდენი საკითხი დადგა სულ კენჭისყრაზე და მათ შორის რომელ საკითხს, რომელმა დეპუტატმა არ დაუჭირა მხარი. საკრებულომ სხდომის ოქმები არ მოგვაწოდა, რაც აღნიშნული საკითხის გაანალიზების საშუალებას მოგვცემდა.

საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს **7-ჯერ** წარუდგინეს წინადადება იურიდიული პირების (ააიპ/შპს) დაფუძნების, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ.

ახალციხის საკრებულომ სახელმწიფოს უსასყიდლოდ სარგებლობაში გადასცა:

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი სოფელ ჭაჭარაქში სკოლის ასაშენებლად;

- არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული ამბულატორიის შენობები 22 სოფელში;

გარდა ამისა, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით, უზუფრუქტით გადასცა იუსტიციის სახლს ახალციხეში, ხარისჭირაშვილის N1-ში მდებარე რიტუალების სახლი.

თავი 3. ცვლილებები ახალციხის საკრებულოში

2021 წლის 13 დეკემბერს **საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე** გურამ გელაშვილი ჩაანაცვლა ვლადიმერ კურტანიძემ, რომელიც მანამდე ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე იყო. ფრაქციაში ვლადიმერ კურტანიძის პოზიცია ნოდარ ხითარიშვილმა დაიკავა.

აღსანიშნავია, რომ ვლადიმერ კურტანიძემ 2022 წლის ოქტომბერში, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია დათმო, რადგან „ქართული ოცნებიდან“ გავიდა და „ხალხის ძალას“ შეურთდა, თუმცა რამდენიმე დღეში, 4 ნოემბერს, იგი იმავე პოზიციაზე, როგორც უფრაქციო წევრი, ხელახლა აირჩიეს.

ახალციხის საკრებულოდან „ხალხის ძალას“ კიდევ ერთი დეპუტატი, **საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,** საბა კბილაშვილი შეურთდა. ის ერთ-ერთი პირველი იყო რეგიონში, რომელმაც ამ მიზეზით, 2022 წლის 15 ივლისს „ქართული ოცნება“ და თანამდებობაც დატოვა. თუმცა, ხუთ თვეში, 4 ნოემბერს, როგორც უფრაქციო წევრი, იმავე თანამდებობაზე ხელმეორედ აირჩიეს

ცვლილებები განხორციელდა **ფრაქცია „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაშიც**“. 2022 წლის 11 მაისს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილემ, ნონა ქოზაშვილმა პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დატოვა და საკრებულოში დამოუკიდებელ დეპუტატად დარჩა. ნონა ქოზაშვილი ამავე პარტიის წევრმა, მარიამ დალალიშვილმა ჩაანაცვლა.

დაახლოებით, ერთ თვეში, 6 ივნისს დეპუტატის უფლებამოსილება შეუწყდა ფრაქციის თავმჯდომარეს, სამსონ ბალიაშვილს. სასამართლომ მას მსჯავრი დასდო სსკ-ის 120-ე მუხლის პირველ ნაწილით, ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანებისთვის. სამსონ ბალიაშვილის ნაცვლად ახალციხის საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ბესიკ ოქრომელიძე შევიდა. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობის“ თავმჯდომარე მარიამ დალალიშვილი გახდა. მის მოადგილედ კობა სანდროშვილი დაინიშნა.

მარიამ დალალიშვილმა, ხუთ თვეში, 4 ოქტომბერს, ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის პოზიცია და პარტია ერთდროულად დატოვა, მიზეზი თანაპარტიელებთან დაპირისპირება იყო. მარიამ დალალიშვილმა საკრებულოში მუშაობა დამოუკიდებელ დეპუტატად გააგრძელა.

ამავე დღეს, ფრაქციის თავმჯდომარე დავით ახალკაცი გახდა, რომელსაც მანამდე ერთ-ერთი მოადგილის პოზიცია ეკავა. მოადგილის გამოთავისუფლებულ პოზიციაზე ქეთვან ბარძიმაძე დაინიშნა.

საანგარიშო პერიოდში შეიცვალა **ფრაქცია „ახალციხე საქართველოსთვის**“ შემადგენლობაც. 2022 წლის 27 ივლისს ფრაქციის თავმჯდომარემ, მარინა აბულაძემ, რომელიც საკრებულოში გიორგი გახარიას პარტიას წარმოადგენს, თანამდებობა დატოვა. მარინა აბულაძე წლების განმავლობაში, ააიპ ახალციხის ბაღების გაერთიანებაში იურისტად მუშაობდა, თუმცა 2021 წლის ადგილობრივი თვიმმართველობის წინასაარჩევნო პერიოდში, მას შემდეგ რაც მისი შვილი რეგიონში გიორგი გახარიას პარტიის კოორდინატორად დაინიშნა, სამსახურიდან გაათავისუფლეს. სასამართლო პროცესის მოგების შემდეგ კი იგი ააიპ-ში სამუშაოდ დაბრუნდა, თუმცა საკრებულოს წევრად დარჩა.

2022 წლის 27 ივლისს, ფრაქცია „ახალციხე საქართველოსთვის“ თავმჯდომარე გიორგი გიორგაძე გახდა. მის მოადგილედ, პარტია „ევროპული საქართველოს“ დეპუტატი, ტარიელ ტაბატაძე დაინიშნა.

2022 წლის სექტემბერში, „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი დეპუტატი, ზაალ ბერიძე გარდაიცვალა.

თავი 4. საკრებულოს კომისიების და ფრაქციების საქმიანობა

საკრებულოს კომისიების საქმიანობა:

ახალციხის საკრებულოში ხუთმა მუდმივმოქმედმა კომისიამ საანგარიშო პერიოდის განმავლობაში **55** სხდომა გამართა. ქვორუმის არარსებობის გამო არცერთი კომისიის სხდომა არ ჩაშლილა.

საკრებულომ კომისიების სხდომების ოქმები არ მოგვაწოდა. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობია, რამდენი საკითხს უყარეს კენჭი კომისიების სხდომებზე და იყო თუ არა მათ შორის ისეთი საკითხი, რომელიც მერიას უკან დაუბრუნდა, ან შეიცვალა.

საკრებულოს არცერთ კომისიას, დროებით, ან კომისიის უფლებამოსილების

ვადით, სხვა პირი არ მოუწვევია. ასევე, არცერთი კომისიის თავმჯდომარეს არ მოუწვევია ექსპერტი რაიმე საკითხთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში, ხუთივე კომისიამ საკრებულოს ჯამში **113** სამართლებრივი აქტის პროექტი წარუდგინა.

საკრებულოს კომისიებისა და მომზადებული სამართლებრივი აქტების პროექტების რაოდენობა:

კომისიები	სხდომების რაოდენობა	სამართლებრივი აქტების პროექტები
იურიდიულ, სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია	14	43
სივრცით -ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისია	11	13
საფინანსო -საბიუჯეტო კომისია	8	15
სოციალურ საკითხთა კომისია	11	14
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისია	11	28

საკრებულოს ფრაქციების საქმიანობა:

საანგარიშო პერიოდში ახალციხის საკრებულოში მოქმედი **3** ფრაქციიდან არცერთს არ ჰქონია ინიციატივა. შესაბამისად, მათ არც ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები და არც წერილობითი ინიციატივები წარუდგენიათ.

ფრაქციებმა მწირი სამუშაო გაწიეს, თუმცა მათ ფუნქციონირებაზე გაღებულმა ხარჯებმა ჯამში **311,586.88 ლარი** შეადგინა, კერძოდ:

ფრაქციების საქმიანობაზე გაწეული ხარჯები:

სატელეფონო კომუნიკაცია	2,925 ლარი
საწვავის ღირებულება	4,772.42 ლარი
სახელფასო ანაზღაურება	303,779.46 ლარი
სამივლინებო ხარჯი	110 ლარი

თავი 5. საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების კონტროლი

ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, საკრებულო აკონტროლებს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობას; ისმენს მათ ანგარიშებს და აფასებს. მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მოსახლეობის წინაშე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერმა ანგარიში 2022 წლის 4 ნოემბერს წარადგინა და მისი საქმიანობა დამაკმაყოფილებლად შეფასდა. საანგარიშო პერიოდში, საკრებულოს ასევე წარუდგინეს ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური გეგმების, ასევე, შესყიდვების გეგმის შესრულების ანგარიშები.

2022 წლის 31 მაისს განიხილეს ახალციხის მერიის კულტურის სამსახურის, 2022 წლის 24 ივნისს კი ახალციხის მერიის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ანგარიშები. ორივე მათგანი დადებითად შეფასდა. ასევე, წარმოდგენილ იქნა 4 მუნიციპალური და ერთი ინტერმუნიციპალური ააიპ-ების ანგარიშები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, საანგარიშო პერიოდში, მუშაობის ანგარიში ორჯერ წარადგინა: 2022 წლის 17 ივნისს - ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზის გასვლით სხდომაზე და 28 ოქტომბერს - საკრებულოს სხდომაზე.

2022 და 2023 წლების ბიუჯეტის პროექტები ახალციხის საკრებულომ მერიას შენიშვნებით დაუბრუნა. რა შენიშვნები ჰქონდა ახალციხის საკრებულოს 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში უცნობია, საკრებულომ ინფორმაცია არ მოგვაწოდა. მოგვწერა, რომ „ყველა შენიშვნა გათვალისწინებულ იქნა“. 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გათვალისწინებული საკითხების ჩამონათვალი ასეთია:

- *ქალაქ ვალეში შენობა-ნაგებობების-კორპუსების რეაბილიტაცია.*
- *ქალაქ ვალეში და სოფლებში არსებული გზების შეკეთება.*
- *სოციალური დახმარების პაკეტში ახალშობილებისთვის გათვალისწინებული*

დახმარების გაზრდა 50 ლარის ოდენობით.

- *რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება თანასწორობის მიზნით, ბიუჯეტში შესაბამისი ჩანაწერი აისახა.*
- *მერიამ დაიწყო მუშაობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკითხზე.*
- *ახალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე ავარიული ხიდის რეაბილიტაცია.*
- *ახალციხეში ხელოვნური ტბის მიმდებარე ტერიტორიის განათება.*
- *რაბათში ტრენაჟორების მოწყობა.*
- *ააიპ-ების თანამშრომლების ხელფასების გაზრდა.*
- *სოციალურ პაკეტში იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და უკიდურესად გაჭირვებულთა დახმარების გათვალისწინება.*

საანგარიშო პერიოდში ახალციხის საკრებულომ ყველა წარმოდგენილ საკითხს მხარი დაუჭირა. გამონაკლისი მხოლოდ ერთია „ახალციხის მუნიციპალიტეტის სკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, ელექტრონული აუქციონის წესით განკარგვის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი, რომელიც მერიას დაზუსტების მიზნით უკან დაუბრუნდა.

2021 წლის 3 დეკემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ახალციხის საკრებულომ ბიუჯეტში **8** ცვლილება შეიტანა, მათ შორის ერთი, 2021 წლის დეკემბერში განხორციელდა. ყველა ცვლილების ინიციატორი მუნიციპალიტეტის მერი იყო.

საანგარიშო პერიოდში, ახალციხის საკრებულოს მხოლოდ ერთი ინიციატივა ჰქონდა, 31 სოფლის ქუჩების სახელდებისთვის შესაბამისი განკარგულება გამოსცა.

საკრებულოს წევრის თანამდებობრივი შეუთავსებლობის/ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევა არ დაფიქსირებულა; საპირისპიროს ამტკიცებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 2023 წლის აპრილში გამოქვეყნებული კვლევა, რომლის მიხედვითაც **ახალციხის საკრებულოში ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარისა და სატენდერო კომისიის წევრის, ნოდარ ტალახაძის შვილისა და რძლის „კომპანია ელ ეს ჯორჯიამ“, 2020-2022 წლებში სახელმწიფო შესყიდვებიდან 8,797,512 ლარი მიიღო. აქედან, 2,935,177 ლარი (33.3%) ახალციხის მერიიდან დაერიცხა. მათ შორის, 2,290,017 ლარზე (78%) ხელშეკრულებები ახალციხის მერიამ უკონკურენტოდ მოგებულ ტენდერებსა და პირდაპირ შესყიდვებზე გაუფორმა.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ 13 ივლისს გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, **პირდაპირ შესყიდვებს იღებს „ქართული ოცნების“ დეპუტატი გელა ჭალიძეც. მისმა კომპანიებმა შპს „გვრიტმა“ და შპს „დაგმა“, 2021 წლის ოქტომბრიდან დღემდე,სახელმწიფო შესყიდვებით, ჯამში, 244,146 ლარი მიიღეს**. **ყველაზე მეტი თანხა, 141,533 ლარი (57.9%) ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიიდან და მისი იურიდიული პირებიდან დაერიცხათ**.

ასევე, აღსანიშნავია, რომ **ახალციხის მერიის იურიდიული პირების სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობას აგრძელებს „ქართული ოცნების“ დეპუტატი და ყოფილი მერი ზაზა მელიქიძეც.** მელიქიძისა და მისი გარემოცვის შესაძლო კორუფციულ შესყიდვებზე „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ 2019-2022 წლებში არა ერთი კვლევა გამოაქვეყნა, სუს-ის ანტიკორუფციულმა სამსახურმა ზაზა მელიქიძის მიერ უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების ფაქტზე ძიებაც კი დაიწყო. ასევე, მელიქიძის კომპანიების დარღვევები მოხვდა სახელმწიფო აუდიტის 2021 წლის ანგარიშშიც**.**

საკრებულომ არ მოგვაწოდა ინფორმაცია, თუ რამდენმა საკრებულოს წევრმა მიმართა კითხვით მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, მერს, ან სხვა თანამდებობის პირებს და რა საკითხებზე. ასევე, ვინ იყო ყველაზე მეტი კითხვის ადრესატი. საკრებულოდან ზოგადად მოგვწერეს, რომ მერიაში „გაიგზავნა მოქალქეთათვის სხვადასხვა შუამდგომლობის წერილები, საკრებულოს წევრთა მიერ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მოსახლეობასთან შეხვედრებისას გამოკვეთილი პრობლემები და ინფრასტრუქტურული პროექტების ჩამონათვალი შემდგომში ბიუჯეტში ასახვისა და მოგვარების მიზნით, უდიდესი ნაწილი გავალისწინებული იქნა და ყველა კითხვაზე პასუხები დროულად იქნა გაცემული“.

ახალციხის საკრებულოში მნიშვნელოვან გამოწვევაა თანამდებობის პირების მიერ არასრულად, ხარვეზებით შევსებული ქონებრივი დეკლარაციები.

საკრებულოს 22 თანამდებობის პირიდან დეკლარაცია დარღვევებით შეავსო ცხრამ: საკრებულოს თავმჯდომარემ, დავით ლომიძემ, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, ამბარცუმ ბაბოიანმა, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილეებმა - ნოდარ ხითარიშვილმა, ზურაბ ბარძიმაძემ, არუთუნ აგაბაბიანმა, ფრაქცია „ახალციხე-საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ტარიელ ტაბატაძემ, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილეებმა - ქეთევან ბარძიმაძემ და კობა სანდროშვილმა.

ხარვეზები ახალციხის საკრებულოს თანამდებობის პირების დეკლარაციებში დეტალურად შეგიძლიათ ნახოთ აქ.

გასათვალისწინებელია, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს, არის თუ არა კვლევაში ნახსენები კომპანიები აქტიური, რადგან ამ მიზნისთვის საჭირო ინფორმაცია წარმოადგენს საგადასახადო საიდუმლოებას.

„საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ კანონის” თანახმად, პირი თანამდებობაზე დანიშვნიდან ორი თვის ვადაში ვალდებულია სრულყოფილად შეავსოს დეკლარაცია, ასახოს ინფორმაცია საკუთარი და ოჯახის წევრთა ქონებისა და ეკონომიკური ინტერესების შესახებ, სამეწარმეო ორგანიზაციებში არსებული საკუთარი წილები მართვის უფლებით გადასცეს სხვა პირს და თანამდებობაზე დანიშვნიდან 10 დღის ვადაში დატოვოს სამეწარმეო ორგანიზაციის დირექტორის, ხელმძღვანელის პოზიცია.

თავი 7. საკრებულოს წევრთა ჩართულობა საკრებულოს საქმიანობაში

ახალციხის საკრებულომ, როგორც საკრებულოს, ასევე, კომისიების სხდომებზე დეპუტატების მიერ არასაპატიო და საპატიო მიზეზით გაცდენის მონაცემები არ მოგვაწოდა. მოგვწერა, რომ „ეს საკრებულოს ფუნქციონირების შიდა ორგანიზაციულ საკითხს წარმოადგენს“.

ასევე არ მოგვაწოდა სხდომების ოქმები, რაც აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საშუალებას მოგვცმდა.

როგორც საკრებულოდან გამოგზავნილ წერილში ვკითხულობთ, საკრებულოს სხდომები ანონსდება საკრებულოს ფეისბუქის გვერდზე, ასევე იკვრება საინფორმაციო დაფაზე. თუმცა, საანგარიშო პერიოდში გამართული 18 სხდომიდან, დაანონსდა 15, აქედან 6 სხდომა ორი დღით ადრე, დანარჩენები კი ერთი დღით ადრე, ან იმავე დღეს. კანონის მოთხოვნათა დაცვით, ერთი კვირით ადრე, არცერთი სხდომა არ დაანონსებულა.

საანგარიშო პერიოდში, ახალციხის საკრებულოში დარეგისტრირდა ერთი პეტიცია, რომელიც ,,ქალაქ ახალციხეში იაძის ქ.N12-ში მდებარე N4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების დემონტაჟისა და ახლის აშენების“ მოთხოვნით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შეიტანა. პეტიცია დაკმაყოფილდა.

აღსანიშნავია, რომ 2021 წლის მოწვევის საკრებულოში გაგრძელდა ასევე, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მიერ, წინა მოწვევის საკრებულოში შეტანილი პეტიციის განხილვა, რომელიც „ქალაქ ახალციხეში, საქალაქო ტრანსპორტის რაოდენობის გაზრდის და სხვადასხვა მიმართულებით განრიგის დაწესებას“ ეხებოდა. ამ მოთხოვნას ხელს 500 ადგილობრივი აწერდა. დეპუტატებმა მას მხარი 2022 წელს დაუჭირეს.

საკრებულოს ცნობით, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში **მოქალაქეთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით**:

- შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო.
- შექმნილია საკრებულოსთან არსებული საზოგადოებრივი დარბაზი.
- იმართება შეხვედრები მოსწავლე-ახალგაზრდებთან. ერთ-ერთ ასეთ შეხვედრას 40 ახალგაზრდა ესწრებოდა.
- შედგა 2022 და 2023 წლების ბიუჯეტების საჯარო განხილვები.
- იმართება საკრებულოს წევრების გასვლითი შეხვედრები (თუმცა, საკრებულომ ვერცერთი ასეთი შეხვედრის ოქმი ვერ წარმოგვიდგინა).
- საკრებულოს წევრებმა ანგარიშები წარუდგინეს მოსახლეობას სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულში.
- საკრებულოს წევრები სისტემატიურად ესწრებიან დასახლებების საერთო კრებებს.

დეპუტატების ანგარიშები

2022 წელს, საკრებულოს მიერ დადგენილი ფორმის მიხედვით ანგარიში 39 დეპუტატიდან 31-მა წარადგინა. მოქალაქეებისთვის ანგარიში არ წარუდგენია „ნაციონალური მოძრაობის“ არცერთ წევრს, ასევე „ქართული ოცნების“ წარმომადგენელს, არუთუნ აგაბაბიანს.

31-ვე დეპუტატი წერს, რომ მოსახლეობასთან შეხვედრებს აქტიურად მართავენ, თუმცა მათი ნაწილი გამართული შეხვედრების რაოდენობას არ უთითებს. ათ ვინც შეხვედრების რაოდენობა მიუთითა, ჯამში, საანგარიშო პერიოდში 127 გამართული შეხვედრა გამოვიდა. თუმცა, ახალციხის საკრებულომ არც ამ შეხვედრების ოქმები წარმოგვიდგინა.

31-ვე დეპუტატი წერს, რომ შეხვედრებზე გამოკვეთილი საკითხები შესაბამის სტრუქტურებსა და გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან დააყენეს. თუმცა, მხოლოდ 4-მა დეპუტატმა ჩამოთვალა დადებითად გადაწყვეტილი 15 კონკრეტული საკითხი. მაგალითად, დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“, არტაშეს ბალასანიანი მისი ინიციატივით მოგვარებულ საკითხად მიიჩნევს იუსტიციის სახლის თანამშრომლებთან შეხვედრას.

31 დეპუტატიდან 25-ს საკრებულოში არცერთი ინიციატივა/საკითხი/წინადადება არ წარუდგენია, მათ შორის არც ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებს - დავით ტაბატაძეს, ამბარცუმ ბაბოიანს და საბა კბილაშვილს. 6-მა დეპუტატმა ჯამში 22 ინიციატივა/საკითხი/წინადადება წარადგინა. მათ შორის, ყველაზე მეტი - 4 ინიციტივის ავტორი მარიამ გოგოლაძეა, 3 ინიაციატივა კი დავით ლომიძეს ეკუთვნის.

თავი 9. გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობა

ახალციხის საკრებულოში გენდერული თანასწორობის საბჭოს 2021-2022 წლებში:

- სამართლებრივი აქტების პროექტებზე ანალიზი არ განუხორციელებია;
- საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა არ განუხორციელებია;
- არ წარუდგენია წინადადებები და რეკომენდაციები ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ან საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოში;
- გენდერული თანასწორობის საბჭოში გენდერული თანასწორობის დარღვევის თაობაზე განცხადებები არ შესულა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს დამტკიცებული აქვს სამწლიანი სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის დოკუმენტი.

თავი 10. საკრებულოს ხარჯები

სახელფასო ანაზღაურება:

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ჩათვლით, ახალციხის საკრებულოს ხარჯებმა ჯამში **1,052,686.18 ლარი** შეადგინა. ამ თანხიდან ხელფასებში, დანამატებსა და ჯილდოებში სულ **901,802.73 ლარი** გაიცა. მათ შორის, აპარატის თანამშრომლებმა **234,365 ლარი** მიიღეს, როგორც სახელფასო ანაზღაურების, ასევე დანამატებისა და ჯილდოების სახით. საკრებულოს თანამდებობის პირებზე სახელფასო ანაზღაურების სახით **515,537.73 ლარი** გაიწერა.

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" საკრებულოს იმ წევრებისთვისაც ითვალისწინებს საკრებულოს წევრობისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურებას, რომლებიც არ იკავებენ თანამდებობას. ახალციხის საკრებულოში ასეთი 17 დეპუტატია და მათ მიიღეს **151,900 ლარი.**

2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ჩათვლით ახალციხის საკრებულოსა და აპარატში გაცემული შრომის ანაზღაურება:

აპარატის 20 თანამშრომელი	214,963
საკრებულოს 22 თანამდებობის პირი	515,537.73
საკრებულოს 17 წევრი	151,900
ჯამი	**882,400.73**

2022 წელს ახალციხის საკრებულოს აპარატში ჯილდო **17-მა** თანამშრომელმა მიიღო, თუმცა რა დამსახურებისთვის, უცნობია. 12 თანამშრომელზე გაიწერა საკლასო დანამატი.

აპარატის თანამშრომლებზე გაცემული ჯილდო და საკლასო დანამატი:

აპარატის 12 თანამშრომელი - საკლასო	2,647
აპარატის 17 თანამშრომელი - ჯილდო	16,755
ჯამი:	**19,402**

სამივლინებო ხარჯები

ახალციხის საკრებულოს **13** თანამშრომლის მივლინებებზე ქვეყნის შიგნით, საანგარიშო პერიოდში, ჯამში **1,040 ლარი** დაიხარჯა.

სატელეკომუნიკაციო ხარჯები:

ახალციხის საკრებულომ სატელეფონო კომუნიკაციაზე **13,040 ლარის** ხარჯი გასწია.

სატელეფონო კომუნიკაციაზე გაწეული ხარჯი:

საკრებულოს 22 თანამდებობის პირი	6,280
საკრებულოს 17 წევრი	3,315
საკრებულოს აპარატის 17 თანამშრომელი	3,445
ჯამი:	**13,040**

ავტომობილები და საწვავის ხარჯები:

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის გამოყოფილი ორი ავტომობილით სარგებლობენ საკრებულოს თავმჯდომარე, დავით ლომიძე (TOYOTA - LAND CRUISER PRADO 2008**)** და საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, დავით ტაბატაძე (RENAULT DUSTER 2018) . ადგილობრივი ბიუჯეტიდან შესყიდულ საწვავს კი საკრებულოს ყველა თანამდებობის პირი საკუთარი მანქანებისთვის იყენებს. საწვავი არ გამოუყენებია მხოლოდ გურამ გელაშვილს, რომელსაც საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პოზიცია 10 დღის განმავლობაში ეკავა.

ჯამში, ახალციხის საკრებულომ 33,584.61 ლიტრი საწვავი გახარჯა, რომლის ღირებულებამაც **109,690.45 ლარი** შეადგინა.

საკრებულოს თანამდებობის პირების მიერ გახარჯული საწვავი:

საკრებულოს თავმჯდომარე და მოადგილეები	11044.5 ლიტრი	35,975.45 ლარი
ფრაქციების თანამდებობის პირები	14601.53 ლიტრი	47,672.42 ლარი
კომისიების თავმჯდომარეები	7938.58 ლიტრი	26,042.58 ლარი

გახარჯული საწვავის შესახებ დეტალური ინფორმაცია ნახეთ აქ.

საკრებულოს ბალანსზე რიცხული ავტომობილების შეკეთება-რეაბილიტაციისთვის 2021 წლის დეკემბრიდან 2022 წლის ჩათვლით **27,113 ლარი** დაიხარჯა.

კონტროლის განხორციელება:

- საკრებულოს წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საზედამხედველო საქმიანობაში, უფრო ხშირად უნდა იყენებდნენ კონტროლის მექანიზმებს, გადადგან ქმედითი ნაბიჯები სახელმწიფო შესყიდვების პროცესის, მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტების ზედამხედველობის მიზნით;

- აღმასრულებელ ორგანოთა საქმიანობას უფრო აქტიურად უნდა უწევდნენ ზედამხედველობას საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები;

- საკრებულომ აქტიურად და კეთილსინდისიერად უნდა იმუშაოს მუნიციპალიტეტში ინტერესთა კონფლიქტის, თანამდებობრივი შეუთავსებლობის, საკრებულოს რეგლამენტის და ეთიკის ნორმების დარღვევის ფაქტების გამოვლენაზე.

ანგარიშვალდებულება:

- საკრებულომ კანონით დადგენილ ვადებში უნდა გასცეს საჯარო ინფორმაცია. ასევე, ოფიციალურ ვებ-გვერდზე პროაქტიულად ატვირთოს და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახადოს კომისიებისა და საკრებულოს სხდომების ოქმები.

- თანამდებობის პირთა დეკლარაციები გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მნიშვნელოვან მექანიზმს წარმოადგენს, ამასთან, დეკლარაციების არასრულად შევსება კორუფციის საფრთხესაც შეიცავს. ამიტომაც აუცილებელია, რომ თანამდებობის პირებმა დეკლარაცია სრულად შეავსონ.

ფრაქციების საქმიანობა:

- მნიშვნელოვანია, რომ ფრაქციის საქმიანობა სარგებლის მომტანი იყოს შესაბამისი თვითმმართველობისათვის, ფრაქციებმა აქტიურად უნდა შეისწავლონ და გააკონტროლონ მერიისა თუ მუნიციპალური იურიდიული პირების საქმიანობა; წარსდგნენ საკრებულოში ინიციატივებით, აქტიურად ჩაერთონ ბიუჯეტირების პროცესში და ა.შ. ფრაქციები მნიშვნელოვნად ზრდიან თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობას, მხარს უჭერენ ადგილობრივ ინიციატივებს, აგრეთვე მოქალაქეთა საჭიროებებისა და პრობლემების ადვოკატირებას.

საკრებულოს ხარჯები:

- მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს მიერ გაწეული ხარჯები სრულ თანხვედრაში იყოს კანონმდებლობით მისთვის განკუთვნილი უფლებამოსილებების განხორციელებასთან;

- საკრებულომ მკაცრად უნდა აკონტროლოს როგორც უშუალოდ წარმომადგენლობითი ორგანოს, ასევე ზოგადად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ხარჯები და ორიენტირებული იყოს ფინანსური რესურსების ეკონომიაზე.

დასახლების საერთო კრება:

- ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს დასახლების საერთო კრება წარმოადგენს. რადგანაც ახალციხის მუნიციპალიტეტში დასახლების საერთო კრებები მხოლოდ „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში იმართება, მნიშვნელოვანია, რომ საკრებულომ გააქტიუროს ჩართულობის ეს მექანიზმი, მიმართოს მერს, რომ ყოველი მომდევნო წლის ბიუჯეტის უკეთ დასაგეგმად, მისი შუამდგომლობით გაიმართოს დასახლების საერთო კრება.